№377 2013 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებული ტერიტორიებისა და ობიექტების ნუსხის დადგენის შესახებ

მუხლი 1. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებულ ტერიტორიებად და ობიექტებად დადგინდეს:

ა) საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების (მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკების) დაწესებულების შენობა-ნაგებობა და ტერიტორია;

ბ) საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების შენობა-ნაგებობა და ტერიტორია;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა-ნაგებობა და ტერიტორია;

დ) საქართველოს საპატრიარქო;

ე) საელჩოები და საკონსულო დაწესებულებები, აგრეთვე შესაბამისი იმუნიტეტის ქვეშ მყოფი პირების საცხოვრებელი სახლი;

ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტები;

ზ) დაცული ტერიტორია;

თ) ტერიტორიული ზღვა და შიდა საზღვაო წყლები;

ი) სასაზღვრო გამტარი პუნქტი;

კ) სასაზღვრო ზონა და ზოლი;

ლ) ნავსადგურის ტერიტორია და საღუზე რაიონები (წერტილები);

მ) აეროპორტის ტერიტორია;

ნ) საქართველოს რკინიგზა, რკინიგზის სადგური და ვაგზალი;

ო) სპორტული ან კულტურული დანიშნულების შენობა-ნაგებობა 300-ზე მეტ მაყურებელზე;

პ) სახელმწიფო მუზეუმი;

ჟ) მასიური სპორტის ან სხვა ღონისძიების/თავშეყრის ადგილი (ობიექ-ტი);

რ) მაგისტრალური ნავთობსადენი, გაზსადენი და წყალსადენი;

ს) ნავთობისა და ბუნებრივი აირის საცავის ტერმინალი;

ტ) ჰიდრო- და თბო ელექტროსადგური;

უ) ხიდები, გვირაბები და გზაგამტარები;

ფ) საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართ-ველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკები;

ქ) სახელმწიფო და ტერიტორიული არქივი;

ღ) მეტროპოლიტენი;

ყ) ტელეცენტრის შენობა-ნაგებობა, ტელე და კავშირგაბმულობის ყვე-ლა სახის ანძა;

შ) წყალსაცავი და წყალმომარაგების ცენტრალური სისტემა (ობიექტი);

ჩ) რადიოაქტიურ ან/და ტოქსიკურ ნივთიერებათა შენახვის ობიექტი;

ც) ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო სამრეწვე-ლო, სამეცნიერო-საკონსტრუქტორო, საბაჟო და სასაზღვრო დანიშნულე-ბის შენობა-ნაგებობა (ობიექტი);

ძ) ბაგა-ბაღის, სკოლის, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებ-ლო დაწესებულების შენობა-ნაგებობა და ტერიტორია;

წ) სამედიცინო ცენტრი, საავადმყოფო, სანატორიუმი და ლაბორატო-რია;

ჭ) საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლობათა შენობა-ნაგებობა და მისი კომპლექსი (საელჩო, საკონსულო, მისია, წარმომადგენლობა, კულტურის ცენტრი);

ხ) სახელმწიფო ორგანოს მიერ შექმნილი მართვის პუნქტები, თავშესაფრები და დამცავი ნაგებობები;

ჯ) სხვა ობიექტი, რომელზეც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, განსაზღვრული ვადით დადგენილი იქნება ასეთი რეჟიმი.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**